თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი №11

ქ. თბილისი

2018 წელი, 21 თებერვალი, 14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ბექა დავითულიანი, დავითი ფიმფლიძე, თეკლა ისაკაძე, დავითი ფუჩიაჯური, ვახტანგ შაქარიშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი,

სხდომას თავმჯდომარეობდა: რევაზ სოხაძე

სხდომას არ ესწრებოდა: ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, გოჩა თევდორაძე, გიორგი გაბაშვილი

<u>სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:</u>

ვალერი ჭიღლაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი
გიგა გიგაშვილი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი
რუსუდან მირზიკაშვილი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსად გიგა გიგაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ **(საკრებულოს №12-031804637 03 15.02.2018)**
2. ქალა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე რუსუდან მირზიკაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ **(საკრებულოს N12-03180511114-03 20.02.2018)**

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსად გიგა გიგაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ (საკრებულოს - №12-031804637 03 15.02.2018); ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე რუსუდან მირზიკაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ (საკრებულოს N12-03180511114-03 20.02.2018)

კომისიის სხდომაზე გიგა გიგაშვილისა და რუსუდან მირზიკაშვილის კანდიდატურები წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ბატონმა ვალერი ჭილაძემ. მისი თქმით, ზ/აღნიშნულ თანამდებობებზე დასანიშნად წარმოდგენილი პირები გამოირჩევიან მაღალი კვალიფიკაციითა და შესაბამისი საქმიანი გამოცდილებით.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საკითხი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსად გიგა გიგაშვილისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე რუსუდან მირზიკაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ მომზადებულია და თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა იმსჯელოს უახლოეს სხდომაზე.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

რევაზ სოხაძე